გაერომ უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის წინააღმდეგ მიმართულ კანონპროექტს ადამიანის უფლებების დაცვის საერთაშორისო კანონმდებლობასთან შეუსაბამო უწოდა

უკრაინაში რელიგიის თავისუფლებასთან დაკავშირებით შეშფოთება, „უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის წინააღმდეგ მიმდინარე ხელისუფლების ქმედებების გათვალისწინებით“, გამოთქვა გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესმა კომისარმა ფოლკერ თიურქმა, რომელსაც **ციტირებს** უკრაინული ტელეგრამ-არხი „ქვეყნის პოლიტიკა“.

უმაღლესმა კომისარმა კონკრეტულად აღნიშნა კანონპროექტი No 8371, რომელიც გულისხმობს უკრაინის მართლმადიდებელიი ეკლესიის აკრძალვას, და რომელიც უკრაინის უმაღლესმა რადამ 2023 წლის 19 ოქტომბერს პირველი მოსმენით მიიღო. ფოლკერ თიურქმა განაცხადა: „ეს კანონპროექტი არ შეესაბამება ადამიანის უფლებათა საერთაშორისო კანონმდებლობას“.

როგორც უკვე **გავრცელდა** ინფორმაცია, მოსკოვისა და სრულიად რუსეთის უწმინდესმა პატრიარქმა კირილემ წერილები გაუგზავნა ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესიების წინამძღვრებს და რიგ რელიგიურ ლიდერებს, ასევე მიმართა საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს და ადრესატებს თავისი განგაში გაუზიარა უკრაინის პარლამენტის მიერ აღნიშნული დისკრიმინაციული კანონპროექტის განხილვასთან დაკავშირებით. რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წინამძღვრის მიმართვის ადრესატებს შორის იყო გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის უმაღლესი კომისარი ფოლკერ თიურქი.

„უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის მორწმუნეთა უფლებების დარღვევის დადგენილი ფაქტების მიუხედავად, უკრაინის ხელისუფლება აგრძელებს ამ რელიგიური თემის ლიკვიდაციის პოლიტიკას, აძლიერებს მილიონობით მორწმუნეს ტანჯვას“, – გულისტკივილით აღნიშნა მისმა უწმინდესობამ. – ამასთან, ეპისკოპატი და მორწმუნეები რჩებიან მოკლებულნი თავიანთი უფლებების ეფექტური სამართლებრივი დაცვის საშუალებას ხელისუფლების მიშვებით რელიგიური ექსტრემისტების მიერ მათი სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის შექმნილი საფრთხის პირობებში“. უწმინდესმა პატრიარქმა კირილემ იმედი გამოთქვა, რომ უკანონობის თავიდან აცილების ღონისძიებები „შეიძლება მიღებულ იქნას კანონპროექტის შემდგომი მოსმენით განხილვამდე, ძალაში შესვლამდე და განხორციელებამდე“.

წყარო: https://mospat.ru/ge/news/91151/